



დამოუკიდებელი ინსპექტორის
გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

ქ. თბილისი

2020 წლის 5 ნოემბერი

დისციპლინური საქმე №94/315-18
ყოფილი მოსამართლის --- მიმართ
დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ

-- -- 2018 წლის 26 დეკემბრის №-- საჩივრის საფუძველზე, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75⁵ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და 75⁶ მუხლის შესაბამისად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ, მოსამართლე --- -- მიმართ დაიწყო დისციპლინური სამართალწარმოება და წარმოდგენილი საჩივრის საფუძველიანობის წინასწარი შემოწმება.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის 2019 წლის 13 მარტის №-- წერილით მოსამართლეს ეცნობა საჩივრის შემოსვლისა და დისციპლინური სამართალწარმოების დაწყების შესახებ.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ დასკვნა მომზადდა 2019 წლის 24 მაისს.

1. საჩივრის ავტორის მიერ მითითებული ფაქტები:

საჩივრის ავტორი აღნიშნავს, რომ მოსამართლემ სისხლის სამართლის საქმის განხილვის პროცესში დაუშვა რამოდენიმე უხეში პროცესუალური შეცდომა. კერძოდ, დაარღვია საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 273-ე მუხლისა და 274-ე მუხლის „გ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული მოთხოვნები. საჩივრის ავტორის შეფასებით, სააპელაციო პალატამ ასევე არ დააკმაყოფილა დაცვის მხარის მოთხოვნა გაეუქმებინა --- -- სასამართლოს 2017 წლის 10 ოქტომბრის განჩინება უზუსტობის აღმოფხვრის შესახებ. საჩივრის ავტორი ასევე აღნიშნავს, რომ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 287-ე მუხლი გადაწყვეტილების მიმღებ სასამართლოს უფლებას აძლევს განაჩენში შეიტანოს დაზუსტება, რომელიც გავლენას არ ახდენს სასამართლოს დასკვნაზე მსჯავრდებულის ქმედების კვალიფიკაციის შესახებ, რაც --- -- განცხადებით, სასამართლოს მხრიდან არ იქნა გათვალისწინებული.

2. საჩივრის საფუძველიანობის წინასწარი შემოწმების და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები:

2.1. საქმის მასალების შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ --- -- სასამართლოს მოსამართლის --- -- 2017 წლის 11 სექტემბრის განაჩენით --- -- ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით (--- -- ეპიზოდი), საქართველოს სსკ 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით (--- -- ეპიზოდი, საქართველოს სსკ 362-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით (--- -- ეპიზოდი) და საქართველოს სსკ 362-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით (--- -- ეპიზოდი)

გათვალისწინებული დანაშაულების ჩადენისთვის და საქართველოს სსკ 59-ე მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე, საბოლოო სასჯელის სახით, განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 06 (ექვსი) წლისა და 03 (სამი) თვის ვადით.

2017 წლის 10 ოქტომბერს, -- -- სასამართლოს მოსამართლემ -- -- მიიღო განჩინება 2017 წლის 11 სექტემბრის განაჩენში უზუსტობის აღმოფხვრის შესახებ.

2017 წლის 10 ოქტომბრის განჩინების საფუძველზე, 2017 წლის 11 სექტემბრის განაჩენში განხორციელებული ცვლილებების შედეგად, -- -- ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით და ამავე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტით (-- -- ეპიზოდი), ასევე საქართველოს სსკ 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით და ამავე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტით (-- -- ეპიზოდი) გათვალისწინებული დანაშაულების ჩადენისთვის და საქართველოს სსკ 59-ე მუხლის მე-2 ნაწილის გამოყენებით, საბოლოო სასჯელის სახით -- -- განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 06 (ექვსი) წლისა და 03 (სამი) თვის ვადით.

2.2. 2017 წლის 11 ოქტომბერს, მსჯავრდებულ -- -- ადვოკატებმა სააპელაციო საჩივრით მიმართეს სასამართლოს და ითხოვეს -- -- სასამართლოს 2017 წლის 11 სექტემბრის განაჩენის გაუქმება. ასევე, 2017 წლის 27 ოქტომბერს, მსჯავრდებულ -- -- ადვოკატმა -- -- სააპელაციო საჩივრით მიმართა სასამართლოს და ითხოვეს -- -- სასამართლოს 2017 წლის 10 ოქტომბრის განჩინების გაუქმება, უზუსტობის აღმოფხვრის შესახებ.

-- -- სასამართლოს მოსამართლის -- -- 2017 წლის 03 ნოემბრის განჩინებით, დასაშვებათ იქნა ცნობილი სასამართლოში წარდგენილი საჩივრები. -- სააპელაციო სასამართლოს მოსამართლის -- -- 2018 წლის 22 ნოემბრის განაჩენით სასამართლოში წარდგენილი სააპელაციო საჩივრები არ დაკმაყოფილდა. -- -- სასამართლოს 2017 წლის 11 სექტემბრის განაჩენი და 2017 წლის 10 ოქტომბრის განჩინება უზუსტობის აღმოფხვრის შესახებ დარჩა უცვლელად.

3. დამოუკიდებელი ინსპექტორის 2019 წლის 24 მაისის დასკვნა:

მოსამართლე -- -- მიმართ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების შეფასებისას უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს კონსტიტუციის 63-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, არავის არა აქვს უფლება მოსთხოვოს მოსამართლეს ანგარიში კონკრეტულ საქმეზე. „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-7 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, მოსამართლე თავის საქმიანობაში დამოუკიდებელია. მოსამართლე ფაქტობრივ გარემოებებს აფასებს და გადაწყვეტილებებს იღებს მხოლოდ საქართველოს კონსტიტუციის, საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპებისა და ნორმების, სხვა კანონების შესაბამისად და თავისი შინაგანი რწმენის საფუძველზე. ამასთან, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹⁰ მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, დისციპლინური სამართალწარმოების დროს დაუშვებელია მოსამართლის მიერ გამოტანილი აქტების კანონიერებაზე ზედამხედველობა.

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 298-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სააპელაციო სასამართლო განაჩენით იღებს ერთ-ერთ შემდეგ გადაწყვეტილებას: ა) აუქმებს პირველი ინსტანციის სასამართლოს გამამტყუნებელ განაჩენს და მის ნაცვლად ადგენს გამამართლებელ განაჩენს; ბ) აუქმებს პირველი ინსტანციის სასამართლოს გამამართლებელ განაჩენს და მის ნაცვლად ადგენს გამამტყუნებელ განაჩენს; გ) ცვლილება შეაქვს პირველი ინსტანციის სასამართლოს განაჩენში; დ) უცვლელად ტოვებს პირველი ინსტანციის სასამართლოს განაჩენს და უარს ამბობს სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილებაზე.

ამდენად, მოსამართლე -- -- მიმართ არ იკვეთება დისციპლინური პასუხისმგებლობის საფუძველი. საჩივრის ავტორის მიერ მითითებული ფაქტების შესაფასება განეკუთვნება აქტის კანონიერების შესწავლის საკითხს.

4. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივი საფუძვლები:

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹² მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, დამოუკიდებელი ინსპექტორი უფლებამოსილია მიიღოს დასაბუთებული გადაწყვეტილება მოსამართლის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ თუ მოსამართლეს შეუწყდა სამოსამართლო უფლებამოსილება (2020 წლის 1 იანვრიდან მოქმედი რედაქცია).

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2019 წლის -- -- №-- გადაწყვეტილებით „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 43-ე მუხლის პირველი პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, -- -- სასამართლოს მოსამართლე -- -- 2019 წლის -- -- გათავისუფლდა თანამდებობიდან, 65 წლის ასაკის მიღწევის გამო.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის თანახმად, დისციპლინური სამართალწარმოება ხორციელდება მხოლოდ საერთო სასამართლოების მოსამართლეთა მიმართ. გამომდინარე იქიდან, რომ -- -- აღარ ახორციელებს სამოსამართლო უფლებამოსილებას, იგი არ წარმოადგენს „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით განსაზღვრულ დისციპლინური სამართალწარმოების სუბიექტს.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, დამოუკიდებელმა ინსპექტორმა იხელმძღვანელა „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹² მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

-- -- 2018 წლის 26 დეკემბრის №-- საჩივარზე შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება ყოფილი მოსამართლის -- -- მიმართ.

ზურაბ აზნაურაშვილი

დამოუკიდებელი ინსპექტორი